



საქართველოს ჩანლი

ITV.GE

წინასწარჩვევები

მნიშვნელოვან ანგარიშები


2021
 ანგარიშები

წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში

მონიტორინგის სუბიექტების გაშუქება „საქართველოს რადიოს“ ეთერში

ზოგადი ინფორმაცია მაუწყებლის შიდა მონიტორინგის შესახებ:

საზოგადოებრივი მაუწყებელი 13 აგვისტოდან აწარმოებს 2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნების გაშუქების შიდა მონიტორინგს.

მონიტორინგი მიზნად ისახავს მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი დროის რაოდენობრივი მონაცემების დათვლას.

მონიტორინგი მიმდინარეობს სპეციალურად შექმნილი პროგრამის საშუალებით, თითოეულ ჩანაწერზე ტელეგადაცემის/სიუჟეტის ლინკის მითითებით, ხოლო გაშუქებული ინფორმაციის დამუშავებას უზრუნველყოფენ სხვადასხვა პლატფორმისა და გადაცემის სპეციფიკის გათვალისწინებით დატრენინგებული მონიტორები.

მონიტორინგის მეთოდოლოგია ეყრდნობა საქრთავმორისო პრაქტიკას.

მეთოდოლოგია სრულად

მედია მონიტორინგის ცალკეული კომპონენტები გამოქვეყნდება პერმანენტულად, მონიტორინგის მიმდინარეობის პერიოდში, მთლიანი ანგარიში კი - საარჩევნო პროცესის დასრულების შემდეგ.

მონიტორინგის სუბიექტების გაშუქება „საქართველოს რადიოს“ ეთერში

(13 აგვისტოდან 1 ოქტომბრის ჩათვლით)

„საქართველოს რადიოს“ წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიშში აისახა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების ყველა გადაცემა.

„საქართველოს რადიოს“ ეთერში ყოველ სამუშაო დღეს 33 სხვადასხვა ქრონომეტრაჟის საინფორმაციო პროგრამა გადაიყვანა, ხოლო შაბათ-კვირას ეთერშია 17 ხუთ წუთიანი გადაცემა. მონიტორინგი მოიცავდა როგორც ყველა აღნიშნულ საინფორმაციო გადაცემას, ასევე სპეციალურად არჩევნების თემაზე მომზადებულ თოქ-შოუს „ღია სტუდია“. გადაცემას სტუმრობდა ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი გარდა ორისა: პარტიებმა „პროგრესი და თავისუფლება“ და „კანონი და სამართალი“ უარი თქვეს ამ შესაძლებლობის გამოყენებაზე.

გარდა ამისა, საქართველოს რადიოს ეთერში გადაიცა პირველი არხის მიერ მომზადებული პოლიტიკური დებატები. მაუწყებელმა, 14 და 21 სექტემბერს, სატელევიზიო და რადიო ეთერში მაყურებელს შესთავაზა პოლიტიკური დებატები კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების ლიდერებსა და თბილისის მერობის კანდიდატებს შორის.

რადიოს მონიტორინგის ანგარიშში წარმოდგენილია როგორც საინფორმაციო გადაცემებში საარჩევნო და არასაარჩევნო სუბიექტების გაშუქების რაოდენობრივი მონაცემები, ასევე, „ღია სტუდიისა“ და „დებატების“ ფორმატში საარჩევნო სუბიექტების გაშუქება ჭამურად.

მონიტორინგის პროცესში გაიზომა:

- საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების გადაცემებში გაშუქებული საარჩევნო თემების რაოდენობრივი მონაცემი
- საინფორმაციო გადაცემებში საარჩევნო სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, ქრონომეტრაჟის და ტონის მიხედვით
- საინფორმაციო გადაცემებში საარჩევნო სუბიექტების გაშუქების დინამიკა
- საინფორმაციო გადაცემებში მონიტორინგის არასაარჩევნო სუბიექტებისთვის დათმობილი დრო;
- თოქ-შოუებსა და დებატებში საარჩევნო სუბიექტებისთვის დათმობილი დრო

რადიოს საინფორმაციო გადაცემებში მონიტორინგის სუბიექტებად საარჩევნო სუბიექტების გარდა ჩათვლილია მთავრობა, ადგილობრივი თვითმმართველობები, პარლამენტი, პრეზიდენტი. მიხეილ სააკაშვილის გაშუქება ჩათვლილია ნაციონალური მოძრაობის, ხოლო ბიძინა ივანიშვილის - ქართული ოცნების გაშუქებად.

საინფორმაციო პროგრამის ფორმატი მიმდინარე მოვლენების შესახებ მოკლე, მარტივად აღქმად ინფორმაციაზეა ორიენტირებული, სხვადასხვა სუბიექტის მიერ დღის მანძილზე გაკეთებულ განცხადებებს ჟურნალისტები ციტირებენ. აღნიშნული სარედაქციო პოლიტიკა, რადიოს საინფორმაციო გადაცემების სპეციფიკის და რაოდენობის გათვალისწინებით, მიმართულია დაბალანსებული და ოპერატიული გაშუქების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად რადიოს საინფორმაციო გადაცემებში მონიტორინგის სუბიექტები გაშუქებულია ირიბად. ნაციონალური მოძრაობის და ქართული ოცნების მალალი ირიბი გაშუქების მაჩვენებელი ადასტურებს, რომ რადიოს საინფორმაციო გადაცემებში ყველაზე მეტად აისახა წინასაარჩევნო გარემოში მკვეთრად პოლარიზებული პოლიტიკური პროცესი. ანგარიშში წარმოდგენილ მონაცემებზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა 1 ოქტომბერს მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლის და მისი დაკავების ფაქტებმა. არჩევნების წინა დღეს აღნიშნული მოვლენების შესახებ განცხადებები და შეფასებები დომინანტურად შექდებოდა „საქართველოს რადიოს“ ეთერში.

ანგარიშში მითითებულ პერიოდში რადიოს საინფორმაციო გადაცემებში გაშუქდა არჩევნებთან დაკავშირებული 6 858 თემა, დრო დაეთმო 30 საარჩევნო სუბიექტს (დამოუკიდებელი კანდიდატების გაშუქება წარმოდგენილია ჯამურად), სუბიექტების გაშუქების საერთო ქრონომეტრაჟია 19:36:48 (ცხრამეტი საათი, ოცდათექვსმეტი წუთი და ორმოცდარვა წამი). უნდა აღინიშნოს, რომ რადიოს საინფორმაციო გადაცემებში გამოიკვეთა ზოგადად ოპოზიციის ირიბი გაშუქების მაღალი მაჩვენებელი, იგულისხმება ტექსტები, სადაც დასახელებული არ იყო არცერთი კონკრეტული პარტია, ამიტომ ამ მონაცემს წარმოგიდგენთ ცალკე - 1:31:28 (ერთი საათი, ოცდათერთმეტი წუთი და ოცდარვა წამი)

გრაფიკი N1 - საარჩევნო სუბიექტების ირიბი გაშუქების ქრონომეტრაჟი რადიოს ყველა საინფორმაციო გადაცემაში. გრაფიკი არ ასახავს სუბიექტებს 2 წუთზე ნაკლები მონაცემით.

საარჩევნო სუბიექტების ირიბი გაშუქების ქრონომეტრაჟი


ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	06:02:27
ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	05:50:28
გახარია - საქართველოსთვის	01:17:20
ლელო	01:13:20
მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებელი	01:09:06
ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის	00:57:41
შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია	00:57:28
გირჩი	00:25:14
ანა დოლიძე - ხალხისთვის	00:20:12
ზურაბ გირჩი ჯაფარიძე: გირჩი - მეტი თავისუფლება	00:17:28
ალექო ელისაშვილი - მოქალაქეები	00:16:33
ელენე ხომბარია - დროა	00:10:20
მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება კანონი და სამართალი	00:09:43
თავისუფალი საქართველო (ზაზა ხატიაშვილი, კახა კუკავა, გრიგოლ ჯოჯუა)	00:07:28
დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	00:04:22
სახალხო პარტია	00:04:19
გიორგი ლალიძე - მომავალი საქართველო	00:03:46
დამოუკიდებელი კანდიდატი	00:02:41
დავით ჭიჭინაძე - ტრიბუნა	00:02:24

საინფორმაციო გადაცემებში გაშუქების ყველაზე მაღალი უარყოფითი ტონი დაუგროვდა „ქართულ ოცნებას“ და „ნაციონალურ მოძრაობას“, რაც ასევე აჩვენებს პოლარიზებული პოლიტიკური პროცესის მთავარ დაპირისპირებულ მხარეებს. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ გასული წლის მსგავსად შენარჩუნებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან სუბიექტების გაშუქების მაღალი ნეიტრალური ტონი.

გრაფიკი N2 - პირველი ათი საარჩევნო სუბიექტის გაშუქების ტონის პროცენტული მაჩვენებელი


საარჩევნო სუბიექტების გაშუქების ტონი

■ ნეგატიური ■ ნეიტრალური ■ პოზიტიური




საარჩევნო სუბიექტების გამუქების დინამიკაზე დაკვირვება აჩვენებს მათი აქტივობების ზრდას არჩევნების თარიღის მოახლოებასთან ერთად, შესაბამისად იზრდება საარჩევნო სუბიექტებისთვის დათმობილი დროც

გრაფიკი N3 - რადიოს საინფორმაციო გადაცემებში საარჩევნო სუბიექტებისთვის დათმობილი დროის დინამიკა, 10 დღიანი ბიჭით)



გრაფიკი N4 - არასაარჩევნო სუბიექტების ირიბი გამუქების ქრონომეტრაჟი რადიოს ყველა საინფორმაციო გადაცემაში



საინფორმაციო გადაცემებთან შედარებით განსხვავებულია თოქ-შოუ „ღია სტუდიაში“ და პოლიტიკურ დებატებში სუბიექტების გამუქების რაოდენობრივი მაჩვენებელი, აღნიშნულ გადაცემებში ნაკლებად აისახა ორპოლუსიანი პოლიტიკური გარემო და მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკის მიხედვით, აქცენტი ყველა საარჩევნო სუბიექტის დაბალანსებულ და თანაბარ გამუქებაზე გაკეთდა. ასევე, აღსანიშნავია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა პირველი არხის მიერ მომზადებულ თბილისის მერობის კანდიდატებს შორის გამართულ პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. შესაბამისად ამ გადაცემების ჭამურ რაოდენობრივ მაჩვენებლებში ნაკლებია „ნაციონალური მოძრაობისთვის“ დათმობილი დრო.

გრაფიკი N5 - საარჩევნო სუბიექტებისთვის დათმობილი დრო რადიოს თოქ-შოუ „ღია სტუდიაში“ და პოლიტიკურ დებატებში

საარჩევნო სუბიექტებისთვის დათმობილი დრო



წინასაარჩევნო პერიოდში, იზრდება მაუწყებლების როლი ამომრჩეველთა ინფორმირების კუთხით. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მიუკერძოებელი სარედაქციო პოლიტიკა. მონიტორინგის ფარგლებში დაკვირვების ობიექტს წარმოადგენდნენ მაუწყებლის ჟურნალისტები და გადაცემის წამყვანები. აღსანიშნავია, რომ „საქართველოს რადიოს“ საინფორმაციო გამოშვებების და თოქ შოუების ჟურნალისტების ტონი ყველა საარჩევნო სუბიექტის მიმართ ნეიტრალურია.